



ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

ბახტაძე უ., სასჯელის დანიშნისას გასათვალისწინებელი გარემოებები, თბილისი, 2016

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის კრიმინოლოგიის
კვლევითი ცენტრი

უშანგი ბახტაძე

სასჯელის დანიშვნისას
გასათვალისწინებელი გარემოებები

სახელმძღვანელო

დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის გამომცემლობა

UDC(უაკ)343.24
ბ-376

„სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი გარემოებები“ ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპების გაერთიანების მცდელობაა, რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ქართული მართლმსაჯულების განვითარებასა და სისხლის სამართლის საქმეებზე სასჯელების გამოყენების ერთგვაროვან პრაქტიკას.

რედაქტორი: დიმიტრი გეგენავა

უშანგი ბახტაძე, სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი გარემოებები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016

Ushangi Bakhtadze, Sentencing Guidelines: Principles to be taken into Consideration, Prince David Institute for Law Publishing, Tbilisi, 2016

© უშანგი ბახტაძე, 2016

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2016

ISBN 978-9941-0-9283-1

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის კვლევითი ცენტრი

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტში კრიმინოლოგიის ცენტრის შექმნა ხაზს უსვამს ინსტიტუტის მისწრაფებას, ხელი შეუწყოს მეცნიერების ამ დარგის განვითარებას. აღნიშნული ცენტრი კვლევით ერთეულია, რომელიც მიზნად ისახავს, კრიმინოლოგიური საქმიანობა დაუახლოვოს სოციალურ მეცნიერებებს; წარმოადგინოს ახალი ხედვები დანაშაულთან და სასჯელთან დაკავშირებით; ხელი შეუწყოს თანამედროვე კრიმინოლოგიური კვლევების ჩატარებას; შეიმუშავოს ნორმატიული და სოციოლოგიური მიდგომები დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სრულყოფილი ანალიზისთვის.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის კვლევითი ცენტრი გეგმავს, შექმნას ინტელექტუალურად მასტიმულირებელი და კოლეგიური გარემო და უფრო

აქტიურად ჩართოს საუკეთესო სტუდენტები და მკვლევარები თავის საქმიანობაში. ცენტრი, ასევე, პლატფორმაა კრიმინოლოგებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრაქტიკოსებისათვის, მათი ცოდნის გასაზიარებლად და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ეფექტური სტრატეგიების შესამუშავებლად.

წინათქმა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XI თავი ეხება სასჯელის დანიშვნის ძირითად საწყისებს და ადგენს იმ წესებს, რომელთა მიხედვითაც თითოეული სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას უნდა ხელმძღვანელობდეს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თავი 9 მუხლისგან შედგება და ადგენს იმ საფეხურებს, რომელსაც მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას ეყრდნობა, ამ მუხლების ბუნება, საერთო ჯამში, ზოგადია და მოსამართლეებს სასჯელის დანიშვნის ეტაპზე საკმაოდ ფართო ლავირების შესაძლებლობას უტოვებს. მსგავს პირობებში შესაძლებელია მივიღოთ სავალალო შედეგი იმ კუთხით, რომ დაირღვეს სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი უმთავრესი, პროპორციულობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, პირისათვის შეფარდებული სასჯელი ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს. პროპორციულობის პრინციპი თავის თავში აერთიანებს როგორც ორდინალურ პროპორციულობას (მსგავსი დანაშაულებისათვის მსგავსი სასჯელები უნდა იქნეს გამოყენებული), ისე კარდინალურ პროპორციულობას (სასჯელის სახე ჩადენილი ქმედების სიმძიმეზე უნდა იყოს დამო-

კიდებული). შესაბამისად, მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას ჩართულია ორმხრივ პროცესში, რომლის დროსაც, უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა აფასებდეს ქმედების სიმძიმეს (სერიოზულობას) და შემდეგ არჩევდეს სასჯელის ყველაზე უფრო მისაღებ ზომას ქმედების ჩამდენის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით.

წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, შექმნას ყოვლისმომცველი მოწესრიგება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის XI თავის შემავსებელ წესებს გააერთიანებს და გაუადვილებს მოსამართლეს პროპორციული სასჯელის დანიშვნას, ქმედების ჩამდენი პიროვნებისა და ქმედების სიმძიმის (სერიოზულობის) მრავალი სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით. მოცემული სახელმძღვანელო ვრცელდება მხოლოდ 18 წელს მიღწეულ პირებზე.

უშანგი ბახტაძე, MA, MSc

სამართლის მაგისტრი (თსუ), კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მეცნიერების მაგისტრი (ოქსფორდი), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

**სასჯელის დანიშვნისას
გასათვალისწინებელი გარემოებები
(ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო)**

1. ზოგადი დებულებები

1.1. სასჯელის დანიშვნისას, როდესაც ქმედების ჩამდენი 18 წელს მიღწეულია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის შემდეგი მიზნები:

- სამართლიანობის აღდგენა;
- ახალი დანაშაულის თავიდან აცილება;
- დამნაშავის რესოციალიზაცია.

1.2. სისხლის სამართლის კოდექსი არ აკონკრეტებს ენიჭება თუ არა სასჯელის რომელიმე მიზანს პრიორიტეტი. აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ თავად უნდა გადაწყვიტოს სასჯელის მიზნის პრიორიტეტულობა.

1.3. სასჯელის დანიშვნა მოსამართლემ ქმედების სიმძიმის (სერიოზულობის) დადგენით უნდა დაიწყოს, რა დროსაც გადასაწყვეტია შემდეგი გარემოებები:

- დაადგინოს, სასჯელის დანიშვნის რომელი ზღვარი გადალახა დანაშაულებრივმა ქმედებამ;
- დარწმუნდეს, სასჯელის რომელი სახე გამოიყენოს;
- მაქსიმალური სიზუსტით გადანყვიტოს სასჯელის ზომა და მისი ხანგრძლივობა/ოდენობა.

1.4. სასამართლო ვალდებულია დანიშნოს ისეთი სასჯელი, რომელიც ჩადენილი ქმედების სიმძიმის პროპორციული იქნება.

1.5 ქმედების სიმძიმის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს პირის ბრალეულობა და ის ზიანი, რაც მის ქმედებას მოჰყვა ან უნდა მოჰყოლოდა.

2. ბრალეულობა

სასჯელის დანიშვნის მიზნებისთვის შესაძლებელია ბრალის ოთხი დონის გამოყოფა:

ქმედების ჩამდენ პირს:

1. გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. იქიდან

გამომდინარე, რომ ასეთ დროს პირი აცნობიერებს იმ შესაძლო ზიანს, რაც მის განზრახ ქმედებას მოჰყვება, რაც უფრო მეტი ზიანის მომტანი იქნება მისი ქმედება, მით უფრო მძიმედ (სერიოზულად) მიიჩნევა იგი;

II. გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას;

III. გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა;

IV. გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევც.

3. ზიანი

3.1. ზიანში იგულისხმება როგორც უშუალოდ რეალიზებული ზიანი, ისე ზიანის საფრთხე.

დაზარალებულისთვის

3.2. ის ზიანი, რაც დანაშაულებრივ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს, განსხვავებულია, შესაბამისად, დაზარალებულს შეიძლება მიადგეს სხვადასხვა სახის ზიანი, მაგ., ფიზიკური, ფსიქიკური, სექსუალური, ფინანსური და სხვ. თითოეულ ამ კატეგორიაში არსებობს გრადაციები.

3.3. ზიანის ბუნება დამოკიდებული იქნება დაზარალებულის პიროვნულ მახასიათებლებზე და გარემოებებზე. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ზიანის შეფასება წარმოადგენს ეფექტურ და მნიშვნელოვან საშუალებას იმ საზიანო შედეგის სრულად გასაცნობიერებლად, რაც დაზარალებულმა განიცადა.

3.4. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია უშუალო ზიანი არ იყოს დამდგარი და ასეთ დროს სასამართლოს მოუწევს ჩადენილი ქმედების საშიშროების შეფასება; სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზიანის დადგომის ალბათობა და იმ ზიანის მნიშვნელობა, რაც შეიძლებოდა ქმედებას მოჰყოლოდა.

საზოგადოებისათვის

3.5. ზოგიერთი დანაშაული ზიანს აყენებს არა კონკრეტულ პიროვნებას, არამედ საზოგადოებას და შეიძლება გამოიწვიოს, მაგ., ეკონომიკური დანაკლისი, საფრთხე შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობას, შეაფერხოს სასამართლო ორგანოების საქმიანობა და ა.შ.

სხვა სახის ზიანი

3.6. არსებობს სხვა სახის ზიანიც, რომლის განსაზღვრა ან კატეგორიზაცია საკმაოდ რთულია, მაგ., ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა უშუალო ზიანს აყენებს ცხოველს, მაგრამ ამავე დროს შეიძლება არსებობდეს სხვა დაზარალებულიც ადამიანის სახით, რომელსაც მსგავსი ქმედების შედეგად ადგება ფსიქიკური ტრავმა ან/და განიცდის ფინანსურ დანაკლისს.

3.7. ზოგიერთი ქმედება კრიმინალიზებულია მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებსა და მორალს. ამას გარდა, საზოგადოების შემფოთებამ ცალკეულ ქმედებასთან დაკავშირებით, იქნება ეს მიმართული კონკრეტული ინდივიდის თუ საზოგადოების წინააღმდეგ, შეიძლება გავლენა იქონიოს საზოგადოების მხრიდან გამონწეული ზიანის გადამეტებულ აღქმაზე.

მაგ., ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარება.

4. ბრალეულობისა და ზიანის შეფასება

4.1. დანაშაულის სიმძიმის შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც უშუალოდ რეალიზებული ზიანი, ისე ზიანის საფრთხე, რომელიც შეიძლება ქმედებას მოჰყოლოდა.

4.2. დანაშაულის სიმძიმის შეფასება საკმაოდ რთული საკითხია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს შეუსაბამობა ბრალეულობასა და ზიანს შორის:

- ზოგჯერ დამდგარი ზიანი იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ამას ქმედების ჩამდენი ითვალისწინებდა;
- სხვა შემთხვევებში პირის ბრალეულობა შეიძლება იმაზე მაღალ დონეზე იყოს, ვიდრე ის ზიანი, რაც შედეგად მოჰყვა ქმედებას.

4.3. ზიანის შეფასება ყოველთვის უნდა მოხდეს ბრალეულობის ფონზე. ბრალის ზუსტი დონე უნდა განისაზღვრებოდეს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა მოტივაცია, დაგეგმილი იყო თუ არა ქმედება ან ხომ არ გამომდინარეობდა იგი პირის სამსახურებრივი მდგომარეობიდან.

პირი უფრო მეტად იქნება ბრალეული თუ:

- განზრახ გამოიწვევს იმაზე მეტ ზიანს, ვიდრე ამას დანაშაულის ხასიათი მოითხოვს ან
- განზრახ არჩევს დაუცველ მსხვერპლს (მათი ასაკის, ფიზიკური მდომარეობის ან მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე).

4.4. როდესაც უჩვეულოდ დიდი ზიანია გამოწვეული, აღნიშნულს კი არ მოიცავდა ქმედების ჩამდენის განზრახვა და ზიანი დადგა ისეთი გარემოების გამო, რომელზეც მას არ ჰქონდა კონტროლი, ბრალეულობა დამოკიდებული იქნება იმ ფაქტზე, თუ რამდენად შეეძლო მას მსგავსი ზიანის გათვალისწინება.

4.5. თუ ქმედებას მოჰყვა იმაზე მეტი ან ნაკლები ზიანი, რაც განზრახული ან გათვალისწინებული ჰქონდა ქმედების ჩამდენს, მისი ბრალეულობა, ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება იყოს უფრო მეტი ან ნაკლები.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ქმედების ჩამდენის ბრალეულობა უნდა იყოს ამოსავალი წერტილი დანაშაულის სიმძიმის დასადგენად.

5. დამამძიმებელი გარემოებები

5.1. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მიხედვით, უმეტესი ქმედებისთვის გათვალისწინებულია დამამძიმებელი გარემოებების ჩამონათვალი, რომელიც, არსებობის შემთხვევაში, მიუთითებს იმაზე, რომ ქმედების ჩამდენი კონკრეტულ შემთხვევაში უფრო მეტად ბრალეულია ან მის ქმედებას მოჰყვა ნორმალურზე მეტი ზიანი (ზოგჯერ კი ორივე ერთად).

5.2. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი წარმოადგენს მნიშვნელოვანი დამამძიმებელი გარემოებების ჩამონათვალს, რომელიც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ქმედების ჩამდენი პირის ბრალეულობის ხარისხზე მსჯელობისას. თუ ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე გარემოებას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს, როგორც დამამძიმებელ გარემოებას, მაშინ სასჯელის ზომის გაზრდის მიზნით მისი გათვალისწინება აღარ უნდა მოხდეს. ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და დამამძიმებელი გარემოებები არ არის დალაგებული რაიმე პრიორიტეტის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ჩამოთვლილი გარემოებები დანაშაულის ერთსა და იმავე მახასიათებლებს წარმოადგენს, მაშინ ისინი არ უნდა გამ-ოიყენონ.

5.3. გარემოებები, რომლებიც ბრალეულობის უფრო მაღალ ხარისხზე მიუთითებენ:

- ახალი დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, ვისაც აღკვეთის ღონისძიების სახედ შეფარდებული ჰქონდა გირაო;
- წინათ სასჯელის მიზნები ვერ იქნა მიღწეული;
- დანაშაული ჩადენილია რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;
- დანაშაული ჩადენილია დაზარალებულის სექსუალური ორიენტაციის (ან სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის) შეუწყნარებლობის გამო;
- დანაშაულის ჩასადენად ქმედების ჩამდენმა ისარგებლა დაზარალებულის ფიზიკური მდგომარეობით (ან სავარაუდო უმწეობით);
- დანაშაულის ჩადენა ნასამართლევი პირის მიერ, განსაკუთრებით, როდესაც შეინიშნება ცალკეული ტიპის დანაშაულებისადმი მიდრეკილება;
- დანაშაულის დაგეგმვა;
- ქმედების ჩამდენს განზრახული ჰქონდა იმაზე მეტი ზიანის გამოწვევა, ვიდრე ეს ახასიათებს კონკრეტულ დანაშაულს;
- დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად;

- დანაშაული ჩადენილია „პროფესიონალის“ მიერ;
- დანაშაულის ჩადენა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით;
- დანაშაული ჩადენილია მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით;
- ქმედების ჩამდენის მხრიდან მტკიცებულებების განადგურების ან თავიდან მოშორების მცდელობა;
- ქმედების ჩამდენის მხრიდან გაფრთხილებებზე ყურადღების არ მიქცევა;
- დანაშაული ჩადენილია პირობით მსჯავრდებულის მიერ;
- ნებისმიერი ნიშნით დაუცველი მსხვერპლის განზრახ შერჩევა;
- დანაშაულის ჩადენა ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ;
- იარაღის გამოყენება დაზარალებულის შესაშინებლად;
- განზრახ ან/და უმიზეზოდ საკუთრების იმაზე მეტად დაზიანება, ვიდრე ეს საჭიროა დანაშაულის ჩასადენად;
- უფლებამოსილების გადამეტება;

- კონკრეტულ პოზიციაზე ყოფნის გამო მინიჭებული უფლებამოსილების ან ნდობის ბოროტად გამოყენება;

5.4 გარემოებები, რომლებიც ჩვეულებრივზე უფრო მაღალი ზიანის ხარისხზე მიუთითებენ:

- არსებობს რამდენიმე დაზარალებული;
- დაზარალებულს მიადგა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი, მიუხედავად იმისა, იგი გამონვეული იყო განზრახ თუ გაუფრთხილებლობით;
- ერთი და იმავე პირის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები;
- დაზარალებული დაუცველია (მაგ., ფიზიკური მდგომარეობის გამო);
- დანაშაულის ადგილმდებარეობა (მაგ., ჩადენილია იზოლირებულ ადგილას);
- დანაშაული მიმართულია იმ პირის წინააღმდეგ, ვინც მუშაობს საჯარო სამსახურში და სწორედ ამ ნიშნით მოხდა მათი შერჩევა;
- დანაშაული ჩადენილია სხვების თანდასწრებით, მაგ., ნათესავების,

განსაკუთრებით შვილებისა და მეუღლის თანდასწრებით;

- დაზარალებულის დამატებით დეგრადაცია/შეურაცხყოფა (მაგ., სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისას მსხვერპლისათვის სურათების გადაღება);
- საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში, უნდა შეფასდეს ნივთის ღირებულება (მათ შორის სენტიმენტალური ღირებულება). ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნეს მიღებული არსებითი ფინანსური ზარალი (მაგ., კონკრეტული ნივთის ქურდობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის პირის სიცოცხლეს ან ბიზნესს).

6. შემამსუბუქებელი გარემოებები

6.1. ზოგიერთი გარემოება შეიძლება მიუთითებდეს ქმედების ჩამდენის უჩვეულოდ დაბალ ბრალეულობაზე ან ქმედების შედეგად გამონვეული ზიანი შეიძლება იყოს უმნიშვნელო.

6.2 გარემოებები, რომლებიც ბრალეულობის დაბალ ხარისხზე მიუთითებს:

- არსებობდა ნორმალურზე მაღალი ხარისხის პროვოკაცია;
- ქმედების ჩამდენი ფსიქიკურად აშლილი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა;
- ქმედების ჩამდენი ახალგაზრდაა ან ისეთ ასაკშია, რაც გავლენას ახდენს მისი მხრიდან ქმედების სრულ ბატონობაზე;
- ქმედების ჩამდენმა უმნიშვნელო როლი ითამამა დანაშაულის განხორციელებაში.

ინდივიდუალური შემამსუბუქებელი გარემოებები

6.3. შემამსუბუქებელი გარემოებების ჩამონათვალი არა ამომწურავი და მოსამართლეს სასჯელის დანიშვნისას შეუძლია გაითვალისწინოს ნებისმიერი ის გარემოება, რომელიც, მისი აზრით, ქმედების ჩამდენის დაბალ ბრალეულობაზე მიუთითებს.

6.4. როდესაც მოსამართლე დაადგენს ქმედების სიმძიმეს, შემდეგ მან უნდა გაითვალისწინოს ქმედების ჩამდენის მხარეს არსებული შემამსუბუქებელი გარემოებები. გულწრფელი სინანული ჩადენილი ქმედების გამო, გამოცხადება ბრალის აღიარებით, დანაშაულის გახსნის აქტიური ხელშეწყობა

სწორედ ის ინდვიდუალური შემამსუბუქებელი გარემოებებია, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა საპროცესო შეთანხმების არსებობისას

6.5. სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. ასეთ შემთხვევაში, რაც უფრო ადრეულ სტადიაზე ხდება პირის მიერ ბრალის აღიარება და საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე მოლაპარაკებაში ჩართვა, მით უფრო მეტად უნდა იყოს შესაძლებელი სასჯელის ზომის შემცირება. აღნიშნულის თაობაზე რეკომენდირებულია ცალკე სახელმძღვანელოს შემუშავება.

6.6. ასეთ დროს ყურადღება უნდა მიექცეს, ასევე, ქმედების ჩამდენის მიერ სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის მზაობის საკითხს.

7. სასჯელის დანიშვნის ზღვრები

7.1. ქმედების სიმძიმის შეფასება არის სასჯელის დანიშვნის მხოლოდ პირველი ნაბიჯი. სასჯელის სახისა და ზომის/ოდენობის განსაზღვრა მეორე რთული ეტაპია, რომლის დროსაც მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, კონკრეტული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში (მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვრებს შორის), რა ზომის სასჯელი გამოიყენოს. აღნიშნული წესები მოქმედებს მხოლოდ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების შეზღუდვის დანიშვნისას.

თავისუფლების შემზღუდავი სასჯელების* ზღვრები

7.2. სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს

* მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სასჯელი გარკვეული დოზით ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, ამ პარაგრაფის მიზნებისთვის, თავისუფლების შემზღუდავ სასჯელებში იგულისხმება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა და თავისუფლების შეზღუდვა.

სასჯელის მიზნის განხორციელებას. შესაბამისად, თავისუფლების შემზღუდავი სასჯელები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება იმდენად მძიმე იყო, რომ სასჯელის სხვა სახის გამოყენება (ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და ა.შ.) სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას.

7.3. ზღვრების დადგენისას მოსამართლემ:

- მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში;
- უნდა გაითვალისწინოს, რომ შეუძლებელია ზედმინევით დადგინდეს ის გარემოებები, თუ რა შემთხვევებშია ქმედება იმდენად მძიმე/სერიოზული, რომ თავისუფლების აღკვეთა/შეზღუდვა იყოს გამართლებული;
- უნდა გაითვალისწინოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თავისუფლების შემზღუდავი სასჯელი გარდაუვალი ჩანს, თავისუფლების აღკვეთა/შეზღუდვა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ინდივიდუალური შემამსუბუქებელი გარემოებების ხარჯზე ან ქმედების ჩამდენის პიროვნული მახასიათებლების

გამო. მაგ., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას შეიძლება მისთვის ჰქონდეს საკმარისად შემზღუდავი ეფექტი, რაც შესაძლებლობას იძლევა სასჯელის მიზნები უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნით იქნეს მიღწეული.

7.4. თავისუფლების შემზღუდავი სასჯელების დანიშვნისას მოსამართლემ უნდა იმსჯელოს შემდეგ საკითხებზე:

I. გადალახა თუ არა ქმედებამ თავისუფლების შემზღუდავი სასჯელის დანიშვნისათვის საჭირო ზღვარი?

II. თუ გადალახა, შესაძლებელია თუ არა თავისუფლების შემზღუდავი სასჯელის თავიდან აცილება?

III. თუ შესაძლებელია, შეიძლება თუ არა სასჯელის პირობითად ჩათვლა?

IV. თუ არა, შესაძლებელია თუ არა სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა?

V. თუ არა, გამოყენებულ უნდა იქნეს სასჯელის ის ზომა, რომელიც ჩადენილი ქმედების სიმძიმის შესაბამისი იქნება.

დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის კრიმინოლოგიის
კვლევითი ცენტრი

e-mail: criminology@princedaavid.ge